ხმა ლეჩხუმიდან

დიდი სიხარულით ვუერთდებით გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა“-ში შემოკრებილ ამხანაგ ქალების აზრს. ამხანაგებო დადგა ახალი ხანა ჩვენ ცხოვრებაში, დაიმსხვრა ძველი რეჟიმი რომელიც ყოველ სულდგმულზე უფრო მწვავედ ჩვენ ქალებს გვაწვა კისერზე, მანამ გვჯიჯგნა სანამ მიწასთან არ გაგვასწორა და ლამის არარად გაგვხადა. დიახ, დაიმსხვრა რეჟიმი და განა ჩვენ არ გვიდევს წილი ყოვლად გამოუსადეგარი შენების დანგრევაში ძლიერ ბევრი, ბევრს მოეხადა ლაჩაქი, ბევრი გაიყინა ჩრდილოელი სუსხისაგან.

ამხანაგებო! გავიხაროთ? არა, არა ჯერ ადრეა სიხარული, სასიხარულო ხანა ჯერ არ დაგვდგომია, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რომელიც ჩვენგან დიდ მსხვერპლს მოითხოვს, დანგრევა არ არის ძნელი როგორც აშენება. ამხანაგებო! ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი, რომელიც მარად ქართველი ქალის აღდგენას ნატრობდა გვიანდერძა, ათასჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერ შენი ჭირიმეო“. და ჩვენც ათასჯერ გავზომოთ თორემ ერთი უბრალო ცუდი ნაბიჯიც დაგვღუპავს სამუდამოდ. ახალი საქართველო შენდება, ახალ ქართველ ქალს მოგვთხოვს და არ შევრცხვეთ, არ დავრჩეთ გარიყული სხვისი იმედით ნუ ვსულდგმულობთ, ვისარგებლოთ მომენტით მივიღოთ ფაქტიური მონაწილეობა ყოველივე დარგის მუშაობაში რაც ჩვენ ფიზიკურ ძალას არ აღემატება.

შორს ჩვენგან ქალური პრანჭვა გრეხა, შორს ჩვენგან მოდები ესენი ძველ რეჟიმს ვუანდერძთ.

ქართველო ქალებო ნურავის იმედი ნუ გაქვთ, თუ არა ჩვენი თავისა, თავისუფლება რომელსაც ყოველი ერი ეტრფის ჩვენ ჩვენივე უნდა მოვიპოვოთ, ჩვენი ძალ-ღონით ჩვენივე შრომით, სხვის ნაბოძვარს ისევე სხვა მიითვისებს. განა ცოტა გვაქვს ამის ფაქტები? სავსეა ისტორიის ფურცლები. საფრანგეთის რევოლუციის დროს ქალების თავგანწირულ ბრძოლას განცვიფრებაში მოყავდა მთელი ევროპა და გერმანიის ჟურნალისტებმა ისიც კი აღნიშნეს, რომ საშიშარი იქნებოდა საფრანგეთთან ბრძოლა რომ ყველა ჯარები ქალებისგან შეედგინათო“ მერე რა მიიღეს ასეთ თავგანწირული ბრძოლით? სრულიად არაფერი! განა ცოტა შრომა მიუძღვით ქალებს ქრისტიანული კულტის შემოღებაში? შიმშილი, წყურვული, ტყე-ღრეში ხეტიალი დამცირება ნამუსის ახდა, კოცონზე დაწვა არაფერი არ დაკლებიათ სამაგიეროთ რა მიიღო? მიიღო ის რომ ნახევარ ადამიანათ აღიარეს და უფლებამოსილ ეგოისტ მამათა სქესებმა თავიანთი კანონმდებლობით ქალს საკურთხევლის წინ ფიცი დაადებინეს ქმარის მხევალი იყავი“-ო.

არც თავისუფლებისათვის თავგანწირული სოციალისტები ეტრფიან დიდად დედათა სქესის უფლებას და ზოგს გასამართლებელ საბუთად მოყავთ, ქალი როდესაც დამოუკიდებელ ცხოვრებას მიეჩვევა ოჯახს მიგვიტოვებს და ბავშვებს უპატრონოდ დაგვიდგებსო. ნუ თუ ეს გამოდგება ვინმეს გასამართლებელ ფაქტად? ვერაფერი ლოღიკაა! ჩვენ ვიცით პირველ ყოფილი ადამიანის ცხოვრება რომელიც არავითარ უფლებას არ სჭირდებოდა, როცა ორი სქესი ერთი და იგივე მდგომარეობაში იყო, გარდა სქესური განსხვავებისა და მაშინ თუ მიხვდა ქალი თავის დანიშნულებას და არ დააგდო უპატრონო შვილები სანამ ის შვილები არსებობისათვის ბრძოლას ვერ შესძლებდა... თუ მეოცე საუკუნის შეგნებული და უფლებამოსილი ქალი გვერდს აუხვევს თავის დანიშნულებს და მიატოვებს ოჯახს, იმ ოჯახს რომელიც ნაწილია საზოგადოებისა, რომელიც ფუძეა ერის მომავალი ბედნიერებისა. ასეთს ქალებს მქნის კულტურული გარყვნილება რომელიც იწვევს ქალთა მონობა და არა ქალა ადამიანური

პიროვნების აღდგენა და მისი სწორ უფლებიანობა. ამას კარგად გრძნობენ ჩვენი უფლების მტრები, მაგრამ მაინც თავისას გაიძახიან, ჩვენ ვთხოვთ ქუთაისის მოქალაქე ქალებს მეტს ენერგიას და ერთობას. განახლების ზარი რეკს და დროა უშველონ თავს და მოეხმარონ თავიანთ სიბნელეში მყოფ დებს. ქალების გამოფხიზლებას და მათ ორგანიზაციულად შეერთებას დიდს დახმარებას გაუწევს დაბა სოფლებში ქალთა კავშირის დაარსება და ქალთა საკითხებზე ლექციებისა და სხვადასხვა საუბრის გამართვა. ეს საქმე ქუთაისის მოწინავე ქალებმა უნდა იკისროს ჩვენს გუბერნიაში.

მეთვალყურე ქალი

1917 წელი #9